პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ

დღეს მსოფლიოს სჭირდება პიონერები

მრავალთათვის პიონერების გადასახლება 1847 წ. ნავუში, კირტლანდში, შორეულ დასავლეთსა ან ნიუ-იორკში კი არა, არამედ უფრო შორეულ ინგლისში, შოტლანდიაში,სკანდინავიაში ან გერმანიაში დაიწყო. პატარა ბავშვებს კარგად არ ესმოდათ ის მამოძრავებელი რწმენა, რომელიც მოტივაციას აძლევდა მათ მშობლებს დაეტოვებინათ ოჯახი, მეგობრები, კომფორტი და უსაფრთხოება.

პატარას შეეძლო ეკითხა: „დედიკო, რატომ მივდივართ სახლიდან? სად მივდივართ?“

„წამოდი, ძვირფასო; ჩვენ სიონში მივდივართ, ჩვენი ღმერთის ქალაქში.“

სახლის უსაფრთხოებასა და სიონის დაპირებას შორის ძლიერი ატლანტიის ოკეანის მრისხანე და არასანდო წყლები იდგა. ვინ დაითვლის, რამდენჯერ შეუკუმშა შიშმა გული ადამიანებს ამ სახიფათო მოგზაურობის დროს? სულიწმინდის ჩურჩულის კარნახით, უბრალო,თუმცა მყარ რწმენაზე დაყრდნობით, პიონერი წმინდანები მიენდნენ ღმერთს და გზას გაუდგნენ.

მათ, როგორც იქნა, მიაღწიეს ნავუს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ გზაზე გაჭირვების წინაშე აღმოჩნდნენ. ნავუდან სოლთ ლეიქ სითიმდე მიმავალ გზაზე საფლავები ქვის სალბითა ან ლოდით აღინიშნებოდა. ამის ფასად დაუჯდათ პიონერებს ეს მოგზაურობა. მათი სხეულები სიმშვიდეში დაიკრძალნენ, მათი სახელები კი მარადისობაში ცოცხლობენ.

დაღლილი ხარები ტვირთს ზიდავდნენ, ურიკების ბორბლები ჭრიალებდნენ, მამაცი ადამიანები შრომობდნენ, ომის ბარაბნების ხმა ისმოდა, კოიოტები ღმუოდნენ, მაგრამ რწმენით შთაგონებულნი და ქარიშხლით აჩქარებული პიონერები აგრძელებდნენ სვლას. ისინი ხშირად მღეროდნენ:

მოდით, მოდით, წმინდანებო, ნუ შეგეშინდებათ
ნურც შრომისა და ნურც ტვირთის;
სიხარულით გაიკაფეთ გზა.
თუნდაც მძიმე მოგეჩვენოთ ეს მოგზაურობა,
მადლიერებით აღივსება შენი დღე. . . .
ყველაფერი კარგადაა! ყველაფერი კარგადაა![1]

ამ პიონერებს ახსოვდათ უფლის სიტყვები: „ჩემი ხალხი უნდა გამოიცადოს ყველაფერში, რათა მოემზადოს ჩემს მიერ მათთვის მომზადებული დიდების მისაღებად, დიახ, სიონის დიდების მისაღებადაც კი.“[2]

დრო ამკრთალებს მოგონებებს და ამცირებს ჩვენს მადლიერებას მათ მიმართ, ვინც ტკივილის გზაზე დადიოდა და უკან იტოვებდნენ ცრემლით მორწყული უსახელო საფლავების ბილიკებს.

მაგრამ დღევანდელ სირთულეებზე რა ვთქვათ? განა არა გვაქვს ქვიანი გზები გასავლელი, ან უსწორმასწორო კლდეები დასალაშქრი, უფსკრულები გადასალახავი, ბილიკები გასავლელი, მდინარეები გადასავლელი? ან არსებობს ამჟამად იმ პიონერი სულისთვის იმის საჭიროება, რომ გაგვარიდოს იმ საშიშროებებს, რომელნიც გვემუქრებიან იმით, რომ გვშთანთქონ და სიონის კეთილდღეობისკენ წაგვიყვანონ?

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მორალის სტანდარტები ისევ და ისევ დაეცა. კრიმინალმა იმატა; პატიოსნება წახდა. მრავალნი მარადიულობის სიხარულს წირავენ წამიერ აღტაცებას. ასე ჩვენ ვკარგავთ სიმშვიდეს.

ჩვენ გვავიწყდება, თუ როგორ ჩინებულად მეფობდნენ ბარბაროსულ სამყაროში ბერძნები და რომაელები და რითი დამთავრდა ეს ტრიუმფი; როგორ მიიყვანა ისინი უძლურებამ და მოდუნებამ ნგრევამდე. და ბოლოს, თავისუფლებაზე მეტად მათ უსაფრთხოება და კომფორტული ცხოვრება უნდოდათ; და მათ დაკარგეს ყოველგვარი კომფორტი, უსაფრთხოება და თავისუფლება.

ნუ მიეცემით სატანას ხიბლს; ამის ნაცვლად მტკიცედ იდექით სიმართლის დასაცავად. სულის დაუკმაყოფილებელი ლტოლვა, პასუხს ვერ გასცემს დაუსრულებელ ბედნიერების ძიებას, ვნებებსა და ნაკლოვანებებს შორის. ნაკლი არასდროს არ მოგვიტანს სიკეთეს. სიძულვილი არასდროს არ ქმნის სიყვარულს. სიმხდალეს არასდროს არ მოაქვს სიმამაცე. ეჭვი არასდროს არ შთააგონებს რწმენას.

ზოგისთვის ძნელია წინ აღუდგეს უგუნურთა დაცინვას და უხამს შენიშვნებს, როდესაც ისინი დასცინიან უმანკოებას, პატიოსნებასა და ღვთის მცნებების მორჩილებას. მაგრამ სამყარო მუდამ აკნინებდა პრინციპების ერთგულებას. როცა ნოე კიდობნის აშენებისთვის რჩევებს იღებდა, უგუნური მაცხოვრებლები მოწმენდილ ცას უყურებდნენ და იცინოდნენ და დასცინოდნენ, სანამ წვიმა არ წამოვიდა.

საჭიროა ამ ძვირფასი გაკვეთილების ისევ და ისევ გამეორება? დრონი იცვლება, მაგრამ ჭეშმარიტება არა. როცა ჩვენ წარსულის გამოცდილებიდან არ ვიღებთ სარგებელს, ჩვენ განწირულნი ვართ იმისთვის, რომ გავიმეოროთ ეს შეცდომები მთელი თავისი გულისტკენით, ტანჯვითა და ტკივილით. განა არა გვაქვს იმდენი სიბრძნე, რომ დავემორჩილოთ ჩვენს უფალს, რომელმაც იცის ყველაფერი დასაბამიდან დასასრულამდე, მას, რომელმაც მოგვიმზადა ხსნის გეგმა, და არა იმ გველს, რომელსაც სძულს მისი მშვენიერება?

ლექსიკონი განმარტავს სიტყვას „პიონერი“ როგორც „ადამიანს, რომელიც სხვებს წინ უძღვის, რათა გაუკაფოს სხვებს გზა.“[3] შეგვიძლია რამენაირად მივაღწიოთ იმ სიმამაცესა და მიზნის სიმტკიცეს, რომელიც ახასიათებდა წინა თაობების პიონერებს? შეგვიძლია მე და თქვენ ვიყოთ პიონერები?

მე ვიცი, რომ შეგვიძლია. ო, როგორ სჭირდება დღეს სამყაროს პიონერები!

შენიშვნები

1. “Come, Come, Ye Saints,” *Hymns,* no. 30.
2. იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 136:31.
3. *Oxford English Dictionary,* 2 გამომცემლობა (1989), „პიონერი.“

ამ მოწოდების სწავლება

წმინდა წერილები გვიხსნიან, რომ შინა მასწავლებლების როლია „გაფრთხილება, ახსნა, მოწოდება, სწავლება და ყველას მოპატიჟება ქრისტესთან“ (მოძღვრება და აღთქმები 20:59). მათთან, ვისაც სტუმრობთ, განიხილეთ პრეზიდენტ მონსონის გზავნილში მოცემული გაფრთხილებები და მოპატიჟება. შესაძლოა გაგიჩნდეთ სურვილი განიხილოთ მათთან ერთად, თუ როგორ ამოვიცნოთ და მივსდიოთ მართალ მაგალითებს, თავი ავარიდოთ ტყუილს და ვისწავლოთ სხვათა შეცდომებზე. ჰკითხეთ მათ, ვისაც სტუმრობთ, თუ როგორ შეუძლიათ დღეს იყვნენ პიონერები.

ახალგაზრდები

რწმენით მართულნი

მეგი იარლის მიერ

ერასდროს არ დამავიწყდება აშშ-ს ნებრასკას შტატში ალინთერ ჭუორთერის მიწაზე სიარული, სადაც წლების წინ პიონერები ცხოვრობდნენ. ამ მიწაზე ისეთი სიწმინდე იგრძნობოდა, თითქოს იგი ღია ცის ქვეშ მდებარე ტაძარი იყო.

თვალები ცრემლებით ამევსო და მხედველობა დამებინდა. მე დავინახე ქანდაკება, თუმცა კონტურებს ვერ ვარჩევდი. როცა ცრემლები მოვიწმინდე, დავინახე ქალი და მამაკაცი, მწუხარე სახეებით. კარგად რომ დავაკვირდი, დავინახე ჩვილი, რომელიც მათ წინაშე გათხრილ საფლავში იწვა.

ამ ხედვამ მრავალი ემოციით ამავსო: სევდა, გაბრაზება, მადლიერება, სიხარული. მე მინდოდა წმინდანებისგან ჩამომეცილებინა მათ მიერ გადატანილი ტკივილი, მაგრამ ამავე დროს მათი მადლიერი ვიყავი იმისათვის, რა მსხვერპლიც გაიღეს მათ სახარებისთვის .

უინთერ ქუორთერსში მიღებული გამოცდილება დამეხმარა გამეგო, რომ მამაზეციერი თავის შვილებს აძლევს სახარებას და აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას. ამ ჩვილის მშობლებს შეეძლოთ უფრო იოლი გზის არჩევა. წინასწარმეტყველის დაჯერება და სახარებით ცხოვრება მოითხოვდა ამ პიონერებისგან კვლავ წინ სვლას მაშინაც კი, როცა შვილი დამარხეს. მაგრამ მათ გააკეთეს არჩევანი — გულში ჩაიკრან სახარება და მიიღონ ამასთან დაკავშირებული სირთულეებიც. მე გავაცნობიერე, რომ სახარებისადმი წმინდანების ერთგულება და წინ სვლის გადაწყვეტილება რწმენითა და იმედით მიმართული იყო — კაშკაშა მომავლის იმედი და რწმენა იმისა, რომ უფალი მათ იცნობდა და მათ ტკივილს შეამსუქებდა.

ავტორი ცხოვრობს ჩრდილო კაროლინაში, აშშ.

ბავშვები

იყავი პიონერი

ვრედზიდენტი მონსონი ამბობს, რომ პიონერი არის ის, ვინც სხვებს უჩვენებს გზას. რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ დაიცვათ ჭეშმარიტება და თქვენს სამეზობლოსა და ოჯახში იყოთ პიონერები? ჩაიწერეთ პასუხები და გაუზიარეთ ისინი ოჯახს.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *First Presidency Message, July 2013.* Georgian. 10667 131

სახარების სწავლება და შესწავლა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

იესო ქრისტე იყო უდიდესი მასწავლებელი. მან მაგალითი დაგვიტოვა, როცა „ასწავლიდა ქალებს ერთად შეკრებილთაც და თითოეულსაც, ქუჩაში და ზღვისპირას, ჭასთან და მათთან სახლებში. ის უჩვენებდა მათ სიყვარულს და სიკეთეს და კურნავდა მათ და მათ ოჯახის წევრებს.“[1]

იგი მართასა და მარიამს ასწავლიდა და „მოიწვია ისინი, მისი მოწაფენი გამხდარიყვნენ და ეგემათ ხსნა, ეს უკეთესი წილი’, [ლუკა 10:42] რომელიც არასდროს არ წაერთმეოდა მათ.“[2]

ჩვენს უკანასკნელი დღეების წმინდა წერილებში უფალმა გვიბრძანა ვასწავლოთ ერთმანეთს სასუფევლის მოძღვრება (იხ.მოძღვრება და აღთქმები 88:77). მოძღვრების სწავლებისა და შესწავლის შესახებ დაწყებითი საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, ჩერილ ა. ესპლინმა თქვა: „სახარების მოძღვრების სრული გაგების პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და იგი ყალიბდება ‘სტრიქონი სტრიქონზე, სწავლება სწავლებაზე, ცოტა აქ და ცოტა იქ’ (2 ნეფი 28:30).”[3]

სწავლის, მეცადინეობისა და ლოცვის დროს, ჩვენ ვასწავლით სულიწმინდის ძალით, რომელიც მიიტანს ჩვენს გზავნილს „ადამიანთა შვილების გულებამდე“ (2 ნეფი 33:1).

წმინდა წერილებიდან

ალმა 17:2–3; 31:5; მოძღვრება და აღთქმები 42:12–13; 84:85

ჩვენი ისტორიიდან

ჩვენმა წარსულის წინასწარმეტყველებმა გაგვახსენეს, რომ ჩვენ, ქალებს, გვაკისრია მნიშვნელოვანი მასწავლებლის როლი როგორც ოჯახში, ასევე ეკლესიაში. 1979 წ.სექტემბერში, პრეზიდენტმა სპენსერ ვ. კიმბალმა (1895–1985) გვთხოვა გავხდეთ „წმინდა წერილების მოწაფენი“. მან თქვა: „გახდით წმინდა წერილების მოწაფენი — არა სხვების დასამცირებლად, არამედ მათ ასამაღლებლად! და ბოლოს, ვის სჭირდება ყველაზე მეტად სახარების საუნჯე (რომელსაც შეუძლიათ მიმართონ გაჭირვების ჟამს) თუ არა ქალებსა და დედებს, რომლებიც ამდენ ადამიანს აღზრდიან და ასწავლიან ?”[4]

ჩვენ ყველანი მასწავლებლებიც და მოსწავლენიც ვართ. როცა წმინდა წერილებიდან ან ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვებს ვასწავლით, ამით შეგვიძლია დავეხმაროთ სხვებს, მოვიდნენ ქრისტესთან. როცა აზრიანი შეკითხვების დასმით და პასუხების მოსმენით სწავლის პროცესში ვერთობით, შეგვიძლია ვიპოვოთ ის პასუხები, რომლებიც ჩვენს პირად საჭიროებებს პასუხობენ.

შენიშვნები

1. *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 3.
2. *Daughters in My Kingdom,* 4.
3. Cheryl A. Esplin, “Teaching Our Children to Understand,” *Liahona* და *Ensign,* 2012 წ. მაისი, გვ.12.
4. სპენსერ ვ. კიმბალი, *Daughters in My Kingdom,* 50.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ ვემზადები იმისთვის, რომ ვიყო უკეთესი მასწავლებელი?

2. ვუზიარებ ჩემს დამოწმებას დებს, რომლებზეც ვზრუნავ?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, July 2013.* Georgian. 10667 131